საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 5464/01
16/06/2020

5464-01-2-202006161215

შპს „ვარკეთილს“
მის: ქ. თბილისი, შირაქის ქუჩა N14

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 8 ივნისის N8421 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ქაღალდის ნარჩენების გადამუშავების (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ 2019 წლის 18 ივნისს თქვენ მიერ სამინისტროში წარმოდგენილი იყო ქ. თბილისში (ს/კ: 01.19.19.004.023), ქაღალდის ნარჩენების გადამუშავების (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, კომპანია ახორციელებდა ქაღალდის და მუყაოს ნარჩენების გადამუშავებას და მისგან ჰიგიენური ქაღალდის წარმოებას. ამასთან, კომპანიის მიერ წარმოდგენილი N14721 წერილის საფუძველზე შეწყდა სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოება.

შპს „ვარკეთილის“ მიერ 2020 წლის 8 ივნისის N8421 წერილით წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საქმიანობა, საქმიანობის განმახორციელებელი და საქმიანობის განხორციელების ადგილი იდენტურია 2019 წლის 18 ივნისის N8827 წერილით წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საწარმო მოწყობილია და ახორციელებს საქმიანობას, თუ იგეგმება მისი მოწყობა. იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ფუნქციონირებს დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობის დაწყების თარიღი, ხოლო სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იქნას განცხადების წარმოდგენის პერიოდისთვის საქმიანობის განხორციელების ადგილზე არსებული ვითარება.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044